ქ. თბილისი, თაბუკაშვილი/ბროსეს ქ. №27-ში მდებარე შენობისა და მიმდებარე განაშენიანების ისტორიულ-მხატვრული ანალიზი



ქ. თბილისი

2019 წ.

ჩვენი კვლევის ობიექტი, თაბუკაშვილის/ბროსეს ქ № 27-ში განთავსებული შენობა, მდებარეობს ქ. თბილისის ისტორიული ნაწილში. სანამ უშუალოდ ობიექტის მხატვრულ-არქიტექტურულ ღირებულების შეფასებაზე გადავალთ, ვფიქრობთ საინტერესოა იქნება მცირე ისტორიული ექსკურსი უბნის განვითარებისა და საპროექტო ობიექტის შესახებ.

ისტორიული ექსკურსი

ვახუშტი ბაგრატიონის მიერ შედგენილ თბილისის 1735 წლის გეგმაზე დღევანდელი რუსთაველის გამზირის ადგილას ე.წ. დიდმის გზა გადიოდა, რომელიც ქალაქის გალავნის კარიბჭესთან იწყებოდა. ამ უბანს იმ ხანად "გარეთუბანი" ეწოდებოდა, რადგან ძველი ფეოდალური ქალაქის – კალას გალავნის გარეთ იყო მოქცეული. XIX საუკუნის დასაწყისში, გარეთუბანი თანდათანობით იწყებს ზრდას. XIX საუკუნის პირველი წლებიდან, 1802 წლის გეგმაზე პროსპექტის დასაწყისში (დღევანდელი შრომის სასახლის ადგილას) უკვე ჩნდება დიდი ზომის ადმინისტრაციული ნაგებობა – «Правительственные места». 1807 წელს იმავე ადგილას მთავარსარდლის ახალი სასახლის მშენებლობა იწყება. ამ დროს ქუჩას ოფიციალური სახელწოდება ჯერ კიდევ არა აქვს, მას "რუსეთისკენ მიმავალი გზა" ეწოდება, რომლის ინტენსიური განაშენიანებაც XIX საუკუნის ათიან წლებში იწყება. იმავე საუკუნის შუა ხანებში კი ჩნდება ფართო გამზირი გოლოვინის პროსპექტის სახელწოდებით, რომელიც უკვე იმდროისათვის ტფილისის ერთ-ერთ მთავარ არტერიას წარმოადგენს და გამზირის ღერძე განთავსებულ ერევნის მოედანთან ერთად მნიშვნელოვან როლს თამაშობს ქალაქის საერთო არქიტექტურულ-სტრუქტურული სახის შექმნაში. თბილისის სხვა, უფრო ძველი უბნებისაგან განსხვავებით, გოლოვინის პროსპექტი წინასწარ დაპროექტებული, რეგულარული გეგმარებით გამოირჩევა, არქიტექტურულ-სტილისტური თვალსაზრისით კი კალა-ისნის თბილისური სახლების ნაცვლად, გამზირის განაშენიანება იმდროინდელი მსოფლიო არქიტექტურის ძირითად მიდრეკილებებს მისდევს და ევროპული თუ რუსული ხუროთმოძღვრების ნიმუშებთან აშკარა მსგავსებას ავლენს. ტფილისის ტენდენცია – ევროპული ყაიდის ქალაქს ემსგვასოს – პროსპექტის განაშენიანების ფუნქციურ მხარესაც ეხება –

ამიერიდან გამზირის უმეტესი ნაწილი უფრო მსხვილმასშტაბიან საზოგადოებრივ თუ ადმინისტრაციულ შენობებსა და საშემოსავლო სახლებს უჭირავს. XIX საუკუნის მიწურულსა და XX საუკუნის დასაწყისში კი გოლოვინის პროსპექტი ერთგვარი საზოგადოებრივ-კულტურული ცენტრის როლსაც იღებს საკუთარ თავზე. პროსპექტის პომპეზურ და სადღესასწაულო იერს, დიდი რაოდენობით თავმოყრილი დირებული ნაგებობები განაპირობებს, რომლის იერ-სახეზეც იმ დროისთვის ცნობილი არქიტექტორები ზრუნავდნენ (მეფისნაცვლის სასახლე – არქ. ო. სიმონსონი; ალექსანდრეს, ამჟამინდელი 9 აპრილის სახ. ბაღი –არქ. ო. სიმონსონი; I კლასიკური გიმნაზიის რეკონსტრუქცია 1870-71წწ არქ. ო. სიმონსონი; „დიდების ტაძარი“ – არქ. ა. ზალცმანი; ზ. ფალიაშვილის სახ. ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრი – არქ. ვ. შრეტერი; ალექსანდრე ნეველის სამხედრო ტაძარი (ამჟამად მინ ნაცვლად პარლამენტის შენობაა განთავსებული) –არქ. დ. გრიმი და რ. გედიკე; შ. რუსთაველის სახ. აკადემიური თეატრი – არქ. ა. შიმკევიჩი; და სხვ.)




გოლოვინის პროსპექტის ხედები XIX-ის II ნახევარი დ. ერმაკოვის არქივიდან

გარდა უშუალოდ გამზირისა, მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი ფუნქციური დატვირთვა მიიღო კვარტლის სიღრმეში განთავსებულმა ქუჩებმა. XX ს-ის დასაწყისში მასზე (ალ, გრიბოედოვის, ძმ. ზუბალაშვილების ქუჩა) მნიშვნელოვანი ობექტები განთავსდა, რომელმაც კვარტლის არამხოლოდ ფუქნცია, არამედ მხატვრულ-არქიტექტურული სახე განსაზღვრა.

მიკროკვარტალის ურბანული განვითარების ისტორია

ჩვენთვის საინტერესო მიკროკვარტალი, სწორედ გარეთუბნის მთავარი ღერძის აღმოსავლეთით მდებარეობს, რომლის ისტორიული ფუნქციური დატვირთვაც გარკვეულწილად განპირობებული იყო გოლოვინის გამზირსა და ლუნაჩარსკის ქუჩათა კვეთაზე განთავსებული საკმაოდ მასშტაბური კადეთტა კორპუსის არსებობით. ფაქტიურად მიმდებარე მიკროკვარტალი სამხედრო დანიშნულების ობიექტთა სიმრავლით გამოირჩევა. ძველ საარქივო გეგმებზე დაკვირვებისას, აღნიშნული მონაკვეთი 1833-35 წლის რუკებზე უკვე ჩნდება. ვერტილაკურად გაჭრილია ქუჩა, თითქმის მტკვრამდე ჩადის. თავდაპირველად ქუჩის მნიშვნელოვანი ფუნქცია, სწორედ მისი მტკვართან სიახლოვე იყო. ფაქტიურად თულუხჩებს სწორედ ამ ქუჩის გაელით ამოჰქონდათ წყალი გარეთუბანში. 1896 წელს, სახალხო თეატრის შენობის დასრულების შემდეგ, ქუჩას თეატრალურის ქუჩა დაარქვეს, მოგვიანებით გიორგი ევანგულოვის სახლს ატარებდა, 1924 წლიდან ლუნაჩარსკის სახლით მოიხსენიებდნენ.

საინტერესოა 1867 წლის გეგმა, რომელიც არამხოლოდ მიკროკვარტლის ურბანული სტრუქტურის შესახებ ავთენტური ინფორმაციას გვაწვდის, არამედ განაშენიანების შესახებაც საინტრესო ისტორიას გვიყვება. რუკაზე ძირითადი მნიშვნელოვანი ობიექტებია დატანილი, რომელთა შორისაც უშუალოდ ჩვენთვის საინტერესო ნაგებობაც იკითხება.





1867 და 1913 წლის გეგმები. დეტალი

1867 წლის გეგმაზე, გოლოვინისა და ლუნაჩარსკის კვეთაზე კადეთტა კორპუსია აღნიშნული, უკან სიღრმეში, მართკუთხა ფორმის საკმაოდ დიდი სივრცეზე – ყაზარმებია დატანილი. ლუნაჩარსკის ქუჩის ბოლოს, მარცხენა მონაკვეთში სამხედრო ყაზარმების საცავია აღნიშნული, ხოლო მის სიახლოვეს მარჯვენა მხარეს არტილერიის შენობა დგას.


ქუჩის მოპირდაპირე მხარეს, საკმაოდ დიდი ზომის მიკროკვარტალი ყოფილ მესამგრეთა ბატალიონის ყაზარმებს ეკუთვნის.

ნაგებობები მომდევნო პერიოდის საარქივო რუკებზეც აღნიშნულია როგორც მნიშვნელოვანი სტრატეგიული ობიექტები. ის, რომ მიკროკვარტალი მართლაც მკვეთრად გამოხატულ სამხედრო ფუნქციისა იყო, ამას მიმდებარედ არსებული ქუჩების სახელწოდებებიც ადასტურებს: კადეტთა, ვაზნის, მაშხალის ქუჩა. სამწუხაროდ მათი ნაწილი, XX ს-ის II ნახევარში მოედნის რეკონსტრუქციას შეეწირა.

ფაქტიურად ლუნაჩარსკის ქუჩა, მიკროკვარტლის მნიშვნელოვან მაგისტრალურ კვანძს წარმოადგენდა, რომელიც ვერტიკალურად ვითარდებოდა და თითქმის მტკვრის სანაპირომდე ჩადიოდა. გოლოვინის პროსპექტის ზედა მონაკვეთი ალ.


ჭავჭავაძის სახელით მოიხსენიებოდა, ქვედა ნაწილის სახელწოდება მისი აქტიური ფუნქციისამებრ იცვლებოდა. განსაკუთრებით საინტერესოა კონკრეტული მონაკვეთის გეოგრაფიული მდებარეობა, რომელიც როგორც ჩანს თავდაპირველად მისი ფუნქციის აუცილებლობიდან წარმოიქმნა. სწორედ მტკვართან სიახლოვე განსაზღვრავს მის ძირითად მახასიათებლესაც: არათანაბარი რელიეფი, რომელიც თანდათანობით დაბლდება და მტკვრის მარცხენა სანაპიროს უერთდება ბროსეს ქუჩით.

პანორამული ფოტო. XIX საუკუნის II ნახევარი



ობიექტის იდენტიფიცირებისა და ისტორიული სურათის აღდგენის მიზნით, უმნიშვნელოვანეს ინფორმაციას საარქივო ფოტომასალა გვაძლევს.

XIX საუკუნის მეორე ნახევრის ფოტოსურათებზე, სადაც ოპერის ახალი თეატრის მშენებლობაა აღბეჭდილი, კარგად ჩანს ჩვენთვის საინტერესო მიკორკვარტალი. ერთმნიშვნელოვნად განაშენიანების დომინანტს, კადეთთა საკმაოდ მასშტაბური ნაგებობა წარმოადგენს, რომელიც ფაქტიურად საკმაოდ დიდი ზომის სივრცეს მოიცავს და ის რამდენიმე ქუჩაზე ერთდროულად იხსნება.



XIX საუკუნის მეორე ნახევრის ფოტო. დეტალი

დაკვირვებით, ადვილად არის შესაძლებელი ამჟამინდელი ბროსეს ქუჩის, არაზუსტი კონფიგურაციის გაყოლა და მასზე განთავსებული ნაგებობების მეტნაკლები იდენტიფიცირება, რომელთა შორისაც, ამჟამინდელი თაბუკაშვილის ქუჩიდან, მცირე, ერთსართულიანი შენობა იკითხება. მის უკან დანამდვილებით საკმაოდ დიდი ზომის ეზო ჩანს, ხოლო ბროსეს ქუჩის მხარეს, ლუნაჩარსკის ქუჩის კვეთასთან ჩანს ნაგებობის ფრაგმენტი, რომელიც კვარტალს საზღვრავს.

შესაძლებელია სწორედ ხედვის წერილის გამო, ბროსეს ქუჩაზე გამომავალი შენობა არ ჩნდებოდეს, თუმცა მთაწმინდის ფერდიდან გადაღებულ ფოტოზე, ჩანს რომ შენობა ბროსეს ქუჩის მხარეს დანამდვილებით დგას, თუმცა ის საკამოდ დაბალია. შესაბამისად მტკვრის მარცხენა სანაპიროდან გადაღებულ ფოტოზე შენობა შესაძლოა სრული სისავსით არ გამოჩენილიყო. ამავდროულად მკაფიოდ იკითხება, რომ არსებული შენობა ჰორიზონტალურად არის გაშლილი, რომელიც ღიობთა რიტმული მონაცვლეობით ისერება.



XIX საუკუნის მეორე ნახევრის ფოტო. დეტალი



XX საუკუნის დასაწყისის ფოტო. დეტალი

მოგვიანო ფოტოზე, უბნის მასშტაბი და გამომსახველობა უფრო მეტად არის ჩამოყალიბებული და თითქმის ყველა ის შენობაა განთავსებული, რომელიც დღესაც არსებობს. მიმდებარე განაშენიანების ცენტრი და დომინანტი ოპერის თეატრი უკვე აშენებულია. თუმცა კვარტალის სივრცულ სტრუქტურულ ფორმირებაში რამდენიმე მასშტაბური ნაგებობა თამაშობს დიდ როლს. მათ შორის კადეთტა კორპუსისა და ოპერის უკან განთასვებული ყოფილ მესანგრეთა ბატალიონების საკმაოდ მოცულობითი ნაგებობა.

თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ უბნის ურბანული სტრუქტურა, არამხოლოდ აღნიშნული ნაგებობით, არამედ მასთან ფუქნციურად დაკავშირებული, ნაგებობათა ჯგუფით იქმნება, რომელიც მასთან კავშირში, საკმად დიდი ზომის ეზოს საზღვრავს და ერთიან კვარტალს შემოწერს. XIX საუკუნის მეორე ნახევრის ფოტოსთან შედარებით, ძირითადი შენობის გამომსახველობა შეცვლილია. ორსართულიანი ნაგებობა სიმეტრიული კომპოზიციით ხასიათდება, ცენტრსა და განაპირა მხარეზე შვერილი ფრონტონებით აქცენტირებული.



1930-იანი წლები. აერო ფოტო. დეტალი

შენობის, უფრო ზუსტად კი კომპლექსის როლს მიკროკვარტალის განაშენიანებაში, კარგად ადასტურებს 1930-იანი წლების აერო ფოტოც.

ფოტოზე ჩანს, რომ საკმაოდ დიდი ზომის მოედანი ოთხივე მხრიდან ნაგებობებით ისაზღვრება. მასში ერთადერთი შესასვლელი, ამჟამინდელი თაბუკაშვილის ქუჩის მხარეს დატოვებული მონაკვეთია. ფოტოს რაკურსის, სახურავების მდებარეობისა გამო, დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ ოთხივე მხარეს გათავსებული ნაგებობები სხვადასხვა სიმაღლის უნდა ყოფილიყო, რომელთა შორისაც აშკარად დომინანტი ცენტრში, ბროსეს ქუჩის მხარეს განთავსებული მოცულობაა.

ამდენად, როგორც ჩანს, მე 20 საუკუნის პირველ ნახევარში, მესანგრეთა ბატალიონის ყაზარმებს, ქალაქის ცენტრში საკმაოდ დიდი ტერიტორია უჭრავს. ფაქტიურად ეს არის მცირე კვარტალი, რომელიც სავარაუდოდ ფუნქციური დანიშნულებაც ჰქონდა. შესაბამისად საკმაოდ დიდი ზომის ეზო-მოედანი, კომპლექსის შემკვრელ სივრცეს წარმოადგენდა, რომლის გარშემოც ლაგდებოდა, სტილისტურად მეტნაკლებად ერთნაირი ტიპის ნაგებობები.

კომპლექსის ქრონოლოგიურ ჭრილში განხილვისას ასევე ისიც ჩანს, რომ მისი მთავარი დომინანტი ნაგებობა (უშუალოდ ჩვენი საკვლევი ობიექტი), XX საუკუნის I ნახევრაში გადაუკეთებიათ. მისი მარტივი, სადა ფასადი, კლასიცისტურ ყაიდაზე შეუმკიათ. სრულებით შესაძლებელია რომ რეკონსტრუქცია არამხოლოდ კონკრეტულ შენობას, არამედ მთელ კომპლექსს შეეხო, თუმცა დღეს ამის მტკიცება, ფრაგმენტულად შემორჩენილი ნაგებობების ფონზე, ძალზედ რთულია.

საპროექტო ობიექტი


როგორც უკვე აღვნიშნეთ, უშუალოდ ჩვენი საპროექტო ნაგებობა, ყოფილი ყაზარმის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია. სავარაუდოდ მას ძირითადი ფუნქციური დატვირთვა უნდა ჰქონოდა.

საარქივო მასალებზე ჩანს, რომ ორსართულიანი ნაგებობა, კომპლექსის ცენტრში დგას და ფასადით შიდა ეზოსა და უკანა მხრიდან ბროსეს ქუჩას ეხსნება. ცხადია ისტორიული სურათი არამხოლოდ ობიექტმა, არამედ მიმდებარე განაშენიანებამაც იცვალა, რის გამოც შენობა კონტექსტიდან ამოგლეჯილი, მხოლოდ ცალკეულ ფრაგმენტიდა დარჩა.



წლების განმავლობაში მცირე ეზო/მოედანი, რომელსაც კომპლექსის მთავარი შინაარსობრივი ფუნქცია ჰქონდა მინიჭებული, მცენარეულმა საფარმა დაფარა, მათ შორის საკმაოდ დიდმა წიწვოვანმა ხეებმა. ამის გამო, ერთ დროს დახურული ტიპის მოედანმა ბაღის სახე მიიღო, რაც განსაკუთრებულ მომხიბლაობას და სიმყურდოვეს სძენს როგორც შენობას, ასევე განაშენიანებასაც.

მოედნის გარშემო არსებული ნაგებობების ნაწილი დაინგრა, ნაწილი კიდევ ახალმა მოცულობითმა ნაგებობებმა ჩაანაცვლა, რის გამოც, ჩვენი საკვლევი შენობა უკანა პლანზე, შიდა ეზოს სიღრმეში მოექცა. მის მიმდებარედ არსებული განაშენიანება ძლიერ შეიცვალა არამხოლოდ მხატვრული თუ არქიტექტურული გამომსახველობით, არამედ მასშტაბითა თუ განაშენიანების სტრუქტურით. ერთ დროს საკმაოდ დიდი ზომის ერთიანი კვარტალი, ცალ-ცალკე, მცირე ზომის საკადასტრო ნაკვეთებად დაიყო, რომლებიც დამოუკიდებლად, ყოველგვარი სისტემის გარეშე ვითარდებიან. ერთადერთი ძველი, რაც ისტორიულ მეხსიერებას ინახავს, უშუალოდ ჩვენი საკვლევი ობიექტია.





საპროექტო ობიექტი. შიდა ეზო

შენობა ვერტიკალურ, სიგრძეში საკმაოდ გაშლილ მოცულობას წარმოადგენს, რომელიც როგორც უკვე აღვნიშნეთ მცირე, მყუდრო ეზოს ეხსნება.

ეზოსპირა ფასადი გაშლილია, სადა, რომლის ძირითადი სტილისტიკაც ფსევდოკლასიცისტურ ყაიდას ეფუძნება. ნაგებობის ძირითად გამომსახველობას, მისი მცირედ აქცენტირებული არქიტექტურული გამომსახველობა ქმნის, რომელიც, სიმეტრიულად ცენტრსა და განაპირა ორ კუთხეში საკმაოდ მასშტაბური ფრონრონით აქცენტირდება.

სწორედ ფრონტონებიან მონაკვეთებშია მოწყობილი შენობაში შესასვლელი სამი სადარბაზოს უჯრედი, რომელიც ჰორიზონტალურად გაშლილ ფასადზე, ერთგვარ ვერტიკალურ მახვილებს ქმნის.






საპროექტო ობიექტი. შიდა ეზო

ფასადის ცენტრალური მონაკვეთი, კედლის საერთო სიბრტყიდან მცირედი განტეხვით გამოიყოფა. ასევე მასზე განთავსებულ ღიობებს, სხვა ღიობებთან შედარებით თალოვანი ფორმა აქვს. ასევე მეტი დეკორატიულობით არის დამუშავებული თავად ფრონტონის ფორმაც.

შენობის პირველი და მეორე სართული ერთმანეთისგან აგურის წყობაში ჩაქსოვილი კბილანებიანი ლავგარდანით გამოიყოფა. ანალოგიური ფორმის ლავგარდანით სრულდება ასევე შენობის ზედა მონაკვეთიც. ფასადზე განთავსებული ღიობები სწორკუთხაა, უაქცენტო, რომელიც მონოტონურად თავსდება ორივე სართულზე.

შენობის ქუჩისპირა ფასადი, ანალოგიური საფასადო კომპოზიციით ხასიათდება – ყრუ ზედაპირი, სიმეტრიულად განტასვებული ღიობები და სამი ვერტიკალური ფრონტონით დასრულებული აქცენტი.

შენობა აგებულია ე.წ. რუსული აგურით და შეულესავია. მის მხატვრულ გამომსახველობას სწორედ აგურის ფაქტურა ფერი და მასში გამოყვანილი დეკორატიული ლავგარდანები ქმნის.



საპროექტო ობიექტი. ბროსეს ქუჩისპირა ფასადი

როგორც უკვე აღვნიშნეთ, შენობის მიმდებარე განაშენიანება ძლიერ სახეცვლილია. საარქივო მასალზე ჩანს, რომ მის მარცხნივ ასევე შენობა გრძელდებოდა, რომელიც დაანგრიეს და მის ნაცვლად ახალი პოლიციის შენობა ააგეს. ამის დასტურად შეიძლება მოვიყვანოთ მცირე ზომის დარჩენილი კედელი ორი, ძველი და ახალი ნაგებობის ზღვარზე.



დასკვნა და რეკომენდაციები

ამდენად, როგორც ჩანს, შენობა XIX-XX ს-ის თბილისური საერო არქიტექტურის ერთ-ერთ მაგალითს წარმოადგენს, რომელსაც მიუხედავად იმისა, რომ განსაკუთრებული მაღალი მხატვრულ-არქიტექტურული ღირებულება არ გააჩნია, კონკრეტულიო განაშენიანების ისტორიას ინახავს. ამავდროულად მას ქალაქგეგმარებითი როლიც აკისრია, რომელიც მიუხედავად მიმდებარე განაშენიანების სახეცვლისა, ინარჩუნებს განაშენიანების მაფორმირებლის ფუნქციას და უბნის ისტორიულ მეხსიერებასაც. სორედ ამ ცალკეული მახასაითებლების გათვალისწინებით, მას კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსი აქვს მინიჭებული.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ შენობას დღეს კერძო მესაკუთრე ყავს, რის გამოც, მისი ფიზიკურ-კონსტრუქციული მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია. თუმცა ისევ და ისევ მიმდებარე განაშენიანების ძლიერი სახეცვლის გამო, საკვლევი შენობა მიმდებარე განაშენიანებაში თითქოს ჩაკარგული და საერთო კონტექსტს მოგლეჯილია.


წარმოადგენილი პროექტის მიხედვით, მისი ფუქნციური ადაპტაციაა გათვალისწინებული, რაც სავსებით დასაშვებელია. ამავდროულად, მომხიბლავი მდებარეობის გამო, მისი რეკონსტრუქციაც იგეგმება, რის შედეგადაც მასში სასტუმროს განთავსებაა გათვალისწინებული. შენობა, და მის მიმდებარედ არსებული სივრცე ღირებულია შემდეგი მახასიათებლებით:


- შენობას და მის წინ გადარჩენილი მცირე ეზო, ინარჩუნებს უბნის გეგმარებით სტრუქტურის ფრაგმენტებს. შესაბამისად ის არასდროს ყოფილა განაშენიანებული;
- შენობა XX საუკუნის დასაწყისის, საერო არქიტექტურის ნიმუშია;
- ნაგებობა განაშენიანების ისტორიული მეხსიერების ამსახველია.

ვფიროობთ პროექტზე მუშაობისას, მნიშვნელოვანია მისი ყველა ძირითადი ელემენტის გათვალისწინება შემდეგი რეკომენდაციებით:

- ✓ დასაწყისში უნდა აღინიშნოს, რომ სასურველია სწორება არ იქნას აღებული, საპროექტო ობიექტის მიმდებარედ დეგრადირებულ და სახეცვლილ განაშენიანებაზე;
- ✓ როგორც უკვე აღვნიშნეთ, ობიექტის ღირებულებას მის წინ არსებული ეზო/ბაღი წარმოადგენს. შესაბამისად ერთმნიშვნელოვნად შესანარჩუნებელია სწორედ ეზო, როგორც სივრცულ-სტრუქტურული ელემენტი, მასში არსებული მცენარეული საფარით;

- ✓ შენარჩუნებულ იქნას შენობის მხატვრულ-არქიტექტურული გამომსახველობა. რესტავრაცია კონსერვაციის მეთოდით მოხდეს საფასადო კომპოზიციის შენარჩუნება;
- ✓ შესაძლებლად მიგვაჩნია კონცეფციაზე ფიქრი, რომელიც კომპლექსის პირველადი სტრუქტურის П- ფორმის დაბრუნების შესაძლებლობას მოგვცემს. გარდა იმისა, რომ გვერიდთა ფლიგელები შეკრავს შიდა ეზოს, ამავდროულად შენობის, უფრო ზუსტად კი კომპლექსის "ციტირების" საშუალებას შექმნის:
- ✓ ამჟამინდელი შენობა ორსართულიანია, საკმაოდ მაღალი სხვენით. შესაძლებლად მიგვაჩნია მასზე დაშენების განხორციელება (ცხადია შესაბამისი კონსტრუქციული მდგრადობისა და პროექტის არსებობის შემთხვევაში), რომელიც იქნება ძალზედ კორექტული, შენობის აუთენტური მხატვრულ-არქიტექტურული გამომსახველობის შესაბამისი;
- ✓ დაშენება პროპორციული უნდა იყოს არსებულ ნაგებობის მასშტაბთან. შესაბამისად სასურველია ძირითადი შენობის დომინირებული როლი იყოს ხაზგასმული:






ხედი ქალაქზე და საპორექტო ობიექტზე

- ✓ დაშენებასთან მიმართებაში უმთავრესად გასათვალისწინებელია, როგორც შორი, ასევე ახლო ხედვის წერტილები:
- ✓ არსებული ობიექტის რეკონსტრუქცია და მისი ფუქნციური ადაპტაცია, სასურველია იყოს დადებითი პრეცენდენტი ძეგლზე თანამედროვე ჩარევისა;
- ✓ და ბოლოს, შენობას კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსი აქვს მინიჭებული, რაც დაცვის განსაზღვრულ მექანიზმს გულისხმობს. შესაბამისად ნებისმიერი სახის სამუშაო, უნდა განხორციელდეს დიდი სიფრთხილითა და ძეგლთადაცვითი კრიტერიუმების გათვალისწინებით.

ხელოვნებათმცოდნე: თ. ღვინერია

რ. თაბუკაშვილის ქუჩის №27
შენობის ინტერიერის კედლების სტრატიგრაფიული ფენების კვლევა



თებერვალი
2022

თებერვალი, 2022

კვლევის ავტორები

„სახვითი ხელოვნების ნიმუშთა კვლევის ცენტრი“

ნუცა პაპიაშვილი

ოლიკო ხაჩიძე

კვლევის მიმოხილვა

მოცემული დოკუმენტი ეხება რ. თაბუკაშვილის ქუჩის №27-ში არსებული შენობის ინტერიერის კედლების სტრატიგრაფიული ფენების კვლევას.
შესწავლის შედეგად ინტერიერის სხვადასხვა სივრცეში გაკეთდა კედლის სტრატიგრაფიული ფენების მექანიკური გახსნები (ზონდაჟები). სამუშაოს განხორციელების მიზანი იყოს კედლის ადრეული ფენების გამოვლენა და იმის დადგენა, დღეს არსებული ფენების ქვეშ არის თუ არა შემორჩენილი ადრეული ნალესობის და საღებავის/მხატვრობის ფენები.

მექანიკური გახსნების დროს, კედლის სტრატიგრაფიის დაყვანა მოხდა აგურის ფენის დონემდე. სტრატიგრაფიული ფენების შესწავლისთვის შერჩეულ იქნა კედლის ის არეები, რომლებიც წარმოადგენს შენობის თავდაპირველ ნაწილს. ზონდაჟები გაკეთდა კედლის სხვადასხვა დონეზე.


შერჩეულ იქნა კედლის ის დონეები, სადაც კომპოზიციურად შესაძლოა ყოფილიყო ადრეული საღებავის ფენები/ნახატი:

- რეგისტრის ხაზი, რომელიც ძირითადად გვხვდება დაახლოებით 1-1.5 მმ სიმაღლეზე;
- კედლის დამასრულებელი ხაზები, რომლებიც ძირითადად გვხვდება კედლის ზედა არეებზე, კედლისა და ჭერის გადაბმის მონაკვეთებში;
- კედლის ცენტრალური არე და კუთხეები, სადაც კომპოზიციურად შესაძლოა განაწილებული ყოფილიყო დეკორატიული მოყვანილობის ნახატი;


მექანიკური გახსნების შედეგად მხატვრობის ადრეული ფენები არ გამოვლინდა. მეორე სართულის ორ სხვადასხვა სივრცეში გამოვლინდა ადრეული საღებავის ფენები, სადაც შემორჩენილია მხოლოდ ერთგვაროვანი საღებავის ფენა (არ გვხვდება ნახატი).

გამოვლენილი საღებავის ფენები დაკონსერვებულია ამჟამინდელი (ახლად გადალესილი) გაჯის ნალესობის ქვეშ. ადგილზე შესწავლის შედეგად ნახატის დამუშავების კვალი არ იკითხება.
გამოვლენილი ადრეული საღებავის ფენები ძირითადად წარმოდგენილია მხოლოდ კედლის ქვედა არეებზე (1-1.5 მეტრის სიმაღლეზე), იხ. სივრცე N2-ის და N4-ის ზონდაჟები,
ფენების კვალი არ იკითხება კედლის ზედა არეებზე.


კონტექსტი



ზემოთ: *მეორე სართულის გეგმა, წითელი ხაზით მონიშნულია ის სივრცეები, სადაც გაკეთდა კედლის სტრატიგრაფიული ფენების გახსნები*




ზემოთ: *შენობის ფასადი რ. თაბუკაშვილის ქუჩის მხრიდან*
ფოტო ალებულია კვლევიდან „ ქ. თბილისი, თაბუკაშვილის/ბროსეს ქ. # 27-ში მდებარე შენობის და მიმდებარე განაშენიანების ისტორიულ-მხატვრული ანალიზი, თ. ღვინერია, 2019



ზემოთ: *შენობის ადგილმდებარეობა, თბილისის მერიის ერთიანი რუკა, 2020 წლის ორთოფოტო, http://maps.tbilisi.gov.ge/*


სივრცე N1 - კიბის უჯრედი




ზონდაჟების (მექანიკური გახსნების) გაკეთების შედეგად ადრეული ნალესობის / საღებავის ფენები არ გამოვლინდა.




ზემოთ: *ზონდაჟის გაკეთების ადგილი, კონტექსტ ფოტო*




ზემოთ: *ზონდაჟის გაკეთების ადგილი, დეტალი ფოტო*




ზემოთ: *ზონდაჟის მაკრო ფოტო, სადაც იკითხება კედლის სტრატიგრაფიული ფენები*




ზონდაჟების (მექანიკური გახსნების) გაკეთების შედეგად ადრეული ნალესობის / საღებავის ფენები არ გამოვლინდა.




ზემოთ: *ზონდაჟის გაკეთების ადგილი, კონტექსტ ფოტო*




ზემოთ: *ზონდაჟის გაკეთების ადგილი, დეტალი ფოტო*




ზემოთ: *ზონდაჟის მაკრო ფოტო, სადაც იკითხება კედლის სტრატიგრაფიული ფენები*






ზემოთ: ზონდაჟის გაკეთების ადგილი, კონტექსტ ფოტო



ზემოთ: ზონდაჟის გაკეთების ადგილი, დეტალი ფოტო

საღებავის ფენების მექანიკური გახსნების შედეგად გამოვლინდა ნალესობის თხელი / საღებავის ფენები. დაკვირვების შედეგად, შემორჩენილ საღებავის ფენებზე არ იკითხება ნახატის დამუშავების კვალი.


ქვემოთ: ზონდაჟის მაკრო ფოტო, სადაც იკითხება კედლის სტრატიგრაფიული ფენები




სტრატიგრაფიული ფენები:

- ფენა 7: ქაღალდი
- ფენა 6: გაჯის ნალესობა (სქელი)
- ფენა 5: მკვეთრი ცისფერი საღებავის ფენა
- ფენა 4: ნალესობის ფენა (თხელი)
- ფენა 3: მონაცრისფრო მწვანე საღებავის ფენა
- ფენა 2: წითელი ოქრა შეფერილობის საღებავის ფენა
- ფენა 1: თეთრი გრუნტის ფენა (თხელი)
- ფენა 0: აგურის საფუძვლის ფენა


სივრცე N2



ზონდაჟების (მექანიკური გახსნების) გაკეთების შედეგად ადრეული ნალესობის / საღებავის ფენები არ გამოვლინდა.




ზემოთ: *ზონდაჟის გაკეთების ადგილი, კონტექსტ ფოტო*




ზემოთ: *ზონდაჟის მაკრო ფოტო, სადაც იკითხება კედლის სტრატიგრაფიული ფენები*


სივრცე N3




ზონდაჟების (მექანიკური გახსნების) გაკეთების შედეგად ადრეული ნალესობის / საღებავის ფენები არ გამოვლინდა.



ზემოთ: *ზონდაჟის გაკეთების ადგილი, კონტექსტ ფოტო*





ზემოთ: *ზონდაჟის გაკეთების ადგილი, დეტალი ფოტო*




ზემოთ: *ზონდაჟის მაკრო ფოტო, სადაც იკითხება კედლის სტრატიგრაფიული ფენები*

სივრცე N4






ზემოთ: *ზონდაჟის გაკეთების ადგილი, კონტექსტ ფოტო*



ზემოთ: *ზონდაჟის გაკეთების ადგილი, დეტალი ფოტო*

ქვემოთ: *ზონდაჟის მაკრო ფოტო, სადაც იკითხება კედლის სტრატიგრაფიული ფენები*




სტრატიგრაფიული ფენები:


- ფენა 5: შავი შეფერილობის საღებავის ფენა (შესაძლოა იყოს ნადები)
- ფენა 4: ღია ლურჯი საღებავის ფენა
- ფენა 3: ღია ცისფერი საღებავის ფენა
- ფენა 2: წითელი ოქრა შეფერილობის საღებავის ფენა
- ფენა 1: გრუნტის ფენა (თხელი)
- ფენა 0: აგურის საფუძვლის ფენა

საღებავის ფენების მექანიკური გახსნების შედეგად გამოვლინდა ნალესობის თხელი / საღებავის ფენები. დაკვირვების შედეგად, შემორჩენილ საღებავის ფენებზე არ იკითხება ნახატის დამუშავების კვალი.


სივრცე N4




ზონდაჟების (მექანიკური გახსნების) გაკეთების შედეგად ადრეული ნალესობის / საღებავის ფენები არ გამოვლინდა.



ზემოთ: *ზონდაჟის გაკეთების ადგილი, კონტექსტ ფოტო*





ზემოთ: *ზონდაჟის მაკრო ფოტო, სადაც იკითხება კედლის სტრატიგრაფიული ფენები*




ზემოთ: *ზონდაჟის მაკრო ფოტო, სადაც იკითხება კედლის სტრატიგრაფიული ფენები*

სივრცე N5







ზემოთ: *ზონდაჟის გაკეთების ადგილი, კონტექსტ ფოტო*



ზემოთ: *ზონდაჟის გაკეთების ადგილი, დეტალი ფოტო*







ზემოთ: *ზონდაჟის მაკრო ფოტოები, სადაც იკითხება კედლის სტრატიგრაფიული ფენები*

ზონდაჟების (მექანიკური გახსნების) გაკეთების შედეგად ადრეული ნალესობის / საღებავის ფენები არ გამოვლინდა.


სივრცე N6



ზონდაჟების (მექანიკური გახსნების) გაკეთების შედეგად ადრეული ნალესობის / საღებავის ფენები არ გამოვლინდა.




ზემოთ: *ზონდაჟის გაკეთების ადგილი, კონტექსტ ფოტო*




ზემოთ: *ზონდაჟის მაკრო ფოტო, სადაც იკითხება კედლის სტრატიგრაფიული ფენები*


სივრცე N7 - კიბის უჯრედი



ზონდაჟების (მექანიკური გახსნების) გაკეთების შედეგად ადრეული ნალესობის / საღებავის ფენები არ გამოვლინდა.



ზემოთ: *ზონდაჟის გაკეთების ადგილი, კონტექსტ ფოტო*



ზემოთ: *ზონდაჟის მაკრო ფოტო, სადაც იკითხება კედლის სტრატიგრაფიული ფენები*